

ცვალებადადგილიანი ეკვაციონალური შეთანადება

ბესიკ დუნდუა

ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენებაში განვიხილავთ ჩვენს ბოლოდროინდელ შედეგებს ცვალებადადგილიან ეკვაციონალურ თეორიებში შეთანადების შესახებ. ამ თეორიებისთვის ავამოცავთ კორექტული და სრული პროცედურა, რომელიც ითვლის ამონახსთა მინიმალურ სიმრავლეს. საზოგადოდ, პროცედურა არ ჩერდება, ვინაიდან ზოგ პრობლემას შეიძლება უსასრულოდ ბევრი ამონახსნი ჰქონდეს. ვიპოვეთ შეთანადების ფრაგმენტი, რომლისთვისაც მოცემული პროცედურა გაჩერებადია და იძლევა ამონახსთა მინიმალურ და სრულ სიმრავლეს. გარდა ამისა, განვსაზღვრეთ პროცედურის შეზღუდული ვარიანტი, რომელიც გაჩერებადია და იძლევა ამონახსთა მინიმალურ სიმრავლეს.

ნაშრომი შესრულებულია თემურ კუციასთან ერთად (სიმბოლური გამოთვლების კვლევითი ინსტიტუტი, ლინცის იოჰანეს კეპლერის უნივერსიტეტი, ავსტრია).